# ერი

№ 10
წელიწადი მეორე
1914


ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

სამშაბთი 14 იანვარი.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“
Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა


„რადიუმი“
ორშაბათიდან, 13 იანვრიდან ახალი პროგრამა.

I.
პათე-ჟურნალი.

II.
რასმუსთქვამდა ჭიანური
დრამა 3 ნაწ.
მარიამ რეზენის მონაწილეობით.

III.
როგორ გახდა ქმრათ პოკსონი
კომიკური.

ანონსი: ხუთშაბათიდან—16 იანვრიდან სენსაციური სურათი.
ბაიაძერკას თვალები.
დრამა 4 ნაწ.
პირველი რუსული მხატვრული სურათი.
დაწვრილებით აფიშებში.

---

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ≡ „ე რ ი“ ≡

## ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებს ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

---

## ქალაქის თეატრი

ოთხშაბათს 15 იანვარს,

**ცნობილი მომღერალი პაპიჩი**

მართავს ფრიად საინტერესო **კონცერტს** მოსკოვის ოპერის მსახიობის ნ. ობოლევის და პიანისტ კომპოზიტორის ვ. შეფერის მონაწილეობით.

---

## ქუთაისი

## პირველი კერძო საავადმყოფო (სამკურნალო)

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რუდიკიანის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული . . . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის . . . | 10—12 |
| ა. ა. რუდიკიანი—დოსტაქარი, ქალთა, სახებიო . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . | 12½ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

---

1914 წლის 2 იანვრიდან

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

**კანტორა**

ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

**КОНТОРА**

НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

---

18 დეკემბრიდან

## დაიწყო ხელის მოწერა

ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ კ. ოცხელის, თ. მთავრიშვილის, ი. კვიცარიძის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი ა. ცინცაძე.

---

## ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის

## ზედამხედველი კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული ბანკის რწმუნებულთა ამომრჩეველი კრება წესდების მე 80 მუხლის ძალით ქალაქს ქუთაისში ბანკის სადგომში დანიშნულია:—პირველი რიგის რწმუნებულთა—25, მეორისა—26 და მესამისა—28 თებერვალს 1914 წ., დილის ათ საათზე. მასთან ამავე წესდების მე 84 მუხლის შენიშვნის თანახმად, კრება კანონიერათ ჩაითვლება, რა რიცხვიც არ უნდა გამოცხადდეს ამომრჩევლებისა.

---

## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

---

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი

## ახალი სტამბა

## —ქუთაისში—

სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან:—ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

---

## ქ უ თ ა ი ს ი.

## თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბებიდან.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ექიმი** კ. ი. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

---

**ექიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიქარაძისა.

---

**ი ყ ი დ ე ბ ა** კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიებით და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

## განსაცდელი.

ჩვენ გლეხებს ვურჩევთ, ეცადეთ გასაყიდი მამულები სხვას არ დაანებოთ, რათაც უნდა დაგიჯდესთ, თვითონ შეიძინეთ; გაუფრთხილდით, უცხოელები არ დაეპატრონონ იმ მიწა წყალს, რომელიც თქვენ მამაპაპათა ძვლებით არის მოკირწყლული, რომელიც თქვენის შრომით განაყოფიერებულია. აქ მარტო რჩევაც არ კმარა ყველა დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ერთობით მთელი შეგნებული ქართველობა უნდა დაეხმაროს ჩვენს გლეხს მიწის შეძენის საქმეში. მთელი ჩვენი ქონებრივი და გონებრივი ძალები უნდა ავამუშაოთ იმისთვის, რომ მიწა ადგილობრივი მკვიდრის ხელში დარჩეს. ვინ არის ეს მკვიდრი, რომელიც მიწას მოუვლის, შეინახავს, რომელმაც მისი ფასი იცის? ეს არის მიწის მუშა გლეხი. სხვილი მემამულეები ეროვნული მთლიანობისათვის დიდს საფრთხეს წარმოადგენენ. მათ არც ენერგია, არც უნარი და, რაც უმთავრესია, არც ფული აქვთ, რო სხვილი ინტენსიური მეურნეობა აწარმოონ მიწისმოქმედების სფეროში. ასეთი ტიპის მეურნეობა ვერ ხარობს, ასე ხდება არა მარტო ჩვენში და რუსეთში, თვით ჩვენზე დიდათ დაწინაურებულ ევროპაშიც-კი: გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში ყველგან საშვალო და წვრილი მეურნეობა სჯობნის სხვილს. ამას მრავალი ეკონომისტის გამოკვლევანი ამტკიცებენ. ეკონომიური ცხოვრების განვითარება სოფლათ სხვა კანონებს ემორჩილება, ვიდრე მრეწველობა, ამ სიტყვის საკუთარის მნიშვნელობით. რუსეთში კარგათ ცნობილმა ეკონომისტმა და ფილოსოფოსმა ბულგაკოვმა მოისურვა დაემტკიცებია წინაამდეგი. მისი აზრით სოფლათაც სხვილი მეურნეობა სძლევს წვრილსა. საშვალო და წვრილი წარმოება ისპობაო. ამ წინათვე აღებული აზრით შეუდგა გამოკვლევას, მაგრამ, როცა გულდასმით შეისწავლა ეს საკითხი, სულ წინაამდეგი დასკვნა. მისი დიდს ორ-ტომიან გამოკვლევაში*) ამტკიცებს, ძველი და ახალი ქვეყნების სტატისტიკური ცნობებით და აუარებელი მასალით, რომ ყველგან სხვილი კაპიტალისტური წესი მიწის დამუშავებისა და საერთოდ სასოფლო მეურნობისა მარცხდება და მის ადგილს იჭერს საშვალო მიწის მფლობელობა და წარმოება. როგორც ხედავთ სხვილი მიწისმფლობელობის მოსპობა მისი დაკუწმაწება ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ ამ ბუნებრივ მოვლენას ჩვენში არაბუნებრივი და ქვეყნის გამანადგურებელი შედეგები მოსდევს. მაგალითად, თუ გერმანიაში სხვილი მესაკუთრე ისპობა მის ადგილს ისევ გერმანელი იჭერს. ამით გერმანიას არავითარი საფრთხე არ მოელის, პირიქით უფრო, ნორმალური წესით ვითარდება ეკონომიური ცხოვრება.

ჩვენში კი სხვილი მემამულენი თავის მიწა წყალზე ხელს იღებენ და მათი მემკვიდრე თითქმის ყოველთვის არა ქართველი გამოდის. რადგან ამ მოვლენამ ამ ბოლო წლებში მაინც მასიური ხასიათი მიიღო, ამ რიგათ ტერიტორიას, რომელიც ჩვენი ერის არსებობის უმთავრეს საფუძველს შეადგენს, სხვები ეპატრონებიან, ეს ისეთი საფრთხეა ჩვენი მომავლისთვის, ისეთი უბედურებაა ჩვენი ქვეყნის თავს, რომლის მზგავსიც არ ახსოვს თვით მის მრავალტანჯულ ისტორიას. ტერიტორიის დაკარგვა ჩვენს სრულ დაღუპვას მოასწავებს. ჩვენ ვსთქვით, რომ სხვილი მიწის მფლობელების პარცელიაცია ეკონომიური განვითარების ბუნებრივი მოვლენაა. ყველგან და ჩვენშიც ამ ბუნებრივ მოვლენას ხელოვნურის მიზეზებითაც აჩქარებენ განსაზღვრულის პოლიტიკური მიზნით ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, ქართველი მემამულის მიწა ქართველი გლეხის ხელში არ გადავიდეს. ერთის მხრით ვებერთელა სახელმწიფო მექანიზმის აგენტები, მეორეს მხრით ჩვენი მეზობელი სომხები. ორსავე ამათ დიდი მადა და სურვილი აქვთ, ხელთ იგდონ საქართველოს მიდამოები. პირველი აქ რუსის გლეხების დასახლებას აპირებს, მეორე სომხებისას. რასაკვირველია, ესენი ერთმანეთში ვერ რიგდებიან, რადგან მემკვიდრეობის დარჩენა ორივეს მიზანია. ამიტომ „ნოვოე ვრემიასა“ და სხვა მის მზგავს გაზეთებში ხშირათ სომხების წინაამდეგ ცხარე წერილები იწერება. ამ

*) Булгаковъ. „Капитализмъ и земледѣліе.“

წერილებში ნათლათაა გამოხატული, რომ მემკვიდრეობის უფლება მარტო რუსებს აქვთო. ჩვენს მეზობელ სომხებს*) კი ამაზე წერა არ უყვართ. ისინი უფრო საქმის ხალხია და ჩუმათ აკეთებენ თავის საქმეს.

როგორც ხედავთ, საფრთხე ორი მხრით მოგველის, ორივე ჩვენი ქვეყნის დაპატრონების მსურველი ძლიერია კაპიტალით, პირველი კი კაპიტალს გარდა ძალითა და უფლებით არის აღჭურვილი. რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ დავიცვათ ჩვენი არსებობა, რა ზომები უნდა მივიღოთ, რომ არ აღვიგავოთ პირისაგან მიწისა. ბ. ან. ფურცელაძემ მე 17-ე საუკუნეში შაჰაბასის შემოსევის დროს უწოდა ბრძოლა საქართველოს მოსასპობლათ. ვფიქრობ, დღეს უფრო მწვავე და ძლიერია ეს ბრძოლა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, შეგნება, შეგნება და შეგნება ჩვენი უბედური მდგომარეობისა, უნდა ყოველი ქართველი გაიმსჭვალოს ერთის აზრით, ერთის გრძნობით. ამ საკითხის შესახებ უნდა სუყველა შეგვაერთოს თავის დაცვის სურვილმა ყველა ქართველ ხალხში მოქმედი პარტია, ჯგუფი, მიმართულება უნდა შეერთდეს, რათა იხსნან დაღუპვისაგან ხალხი. ეს უდიდესი საკითხია, რომლის გადაწყვეტაც გადასწყვეტს ჩვენს ბედს. ამაზეა დამოკიდებული, შეხვდება ხალხი ბრწყინვალე მომავალს, თუ წარიშლება მისი სახე. რომ ეს გადამეტებულათ არავის ეჩვენოს, ვიტყვით, რომ ქართველებს შეუძლია არსებობა და სიცოცხლე, როგორც ტერიტორიის მქონე ერს, უტერიტორიოთ იგი ვერ იარსებებს. ჩვენის ღრმა რწმენით, ყოველი სხვა საქმე სხვაგვარი მოქმედება, საზოგადოებრივ-კულტურული ხასიათის მოქმედება დროებით უნდა შეეწიროს ტერიტორიის შენარჩუნების საქმეს. სწავლა-განათლება, თეატრი, ლიტერატურა, მთელი სულიერი კულტურა არ მოკვდება და იარსებებს. მის აყვავებას მოვესწრებით, გაგაძლიერებთ თუ არსებობის საფუძველი მტკიცე გვექნა, თუ საქართველოს ისტორიულ შენობას საძირკველი არ გამოეცალა. მაგრამ თუ მიწა-წყალი წაგვერთვა, ამაო იქნება მაშინ სულიერი კულტურის აყვავებაზე ზრუნვა. მთელი ჩვენი მოღვაწეობა ჰაერში კედლების შენობას დაემზგავსება. აქიდან დასკვნა ერთია: ყველა დანარჩენ საჭიროებაზე მაღლა დღეს ტერიტორიის შენახვის საჭიროება უნდა დავაყენოთ, მთელი ჩვენი მატერიალური სახსარი მას უნდა მოვახმაროთ. ყველა ჩვენმა საზოგადო დაწესებულებამ უკუაგდონ ყველა სხვა მოთხოვნილება. მთელი ის თანხა, რომელიც დღეს საზოგადო კულტურულ განმანათლებელსა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ იხარჯება, ჩვენს ქვეყანში ქართველთა ცხოვრების მკვიდრ საფუძველზე დამყარებას შესწიროს; რათაც უნდა დაგვიჯდეს, ქართველ მემამულეთა მემკვიდრეთ უცხოელების ნაცვლათ, ქართველი გლეხი უნდა იქნეს. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება გულდამშვიდებული ვიყოთ ქვეყნის მომავალზე, როცა საქართველოს მიწა-წყალი ქართველი მშრომელი ხალხის ხელში იქნება.

დიდი.

*) ყველგან, სადაც კი ამ წერილში სომხებია ნახსენები, მხედველობაში სომხის კაპიტალისტები გვყავს.

# პოლიგონი ამილახორთა მამულზე.

ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით სამხედრო უწყების განზრახვა—ტირიფონის ველზე დიდი ჯარების დაბანაკება—იმდენათ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მას გვერდს ვერ ავუვლით.

საქართველოში ნაწილ-ნაწილ უცხოელების მიერ ტერიტორიის დაკავება—ეს ძველი ამბავია. თუ ჩრდილოეთიდან და თუ სამხრეთიდან მასიური გადმოსახლება დიდიხანია სწარმოებს, ზოგჯერ ეკონომიური მიზეზებისა და ზოგჯერ კი და მეტნაწილათ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო. მას შემდეგ, რაც რუსის მთავრობა ჩვენში ძალდატანებითი გაერთიანების პოლიტიკას დაადგა, იგი ერთერთ საშუალებათ გადმოსახლებას და ჩასახლებას იყენებს. ისინი, ვისაც ასახლებენ ხოლმე და ისინი, ვინც ასახლებს, ორ სხვადასხვა მიზანს მისდევენ. ერთი ეძებს ახალ ადგილებს, რათა ეკონომიური მდგომარეობა გაიუმჯობესოს (ესენია რუსის გლეხობა, სომხის ლტოლვილნი და სხ.), ხოლო მეორესათვის გადმოსახლება პოლიტიკური ზომაა და, მაშასადამე, პირველი მეორის ბრმა, შეუგნებელი იარაღია.

მრავალი ადგილ-მამული საქართველოში უცხოთა ხელში გადადის მთავრობის გარეშეც. აქ კოლონიზატორათ უცხო კაპიტალისტი გამოდის. რამდენად კაპიტალისტი უცხო ელემენტს ასახლებს, იმდენათ ისიც, ნებით თუ უნებლიეთ, მატერიალურ ინტერესებთან ერთად, იმავე პოლიტიკას აწარმოებს, როგორც მთავრობა, რომელიც გადმოსახლებას განაპირა ქვეყნებში მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს უდებს. ხოლო თუ კაპიტალისტი მარტო და მხოლოდ თავის საკუთარ ეკონომიურ ინტერესებს ემსახურება და შეძენილ მამულზე ისევ მკვიდრნი რჩებიან, აქ ჩვენ წინაშე სხვა კატეგორიის მოვლენაა. არა სასურველია ეს მოვლენა იმდენათ, რამდენათ ეტნოგრაფიული ტერიტორიის მთლიანობა ირღვევა, რამდენათ ქონების დაკარგვა მკვიდრთ პოლიტიკურ უფლებებს უმცირებს და მეორეს მხრით, რამდენათ მსხვილი კაპიტალი წვრილს ებრძვის და ამარცხებს ამ უკანასკნელს, რამდენათ, მაშასადამე, ესა თუ ის წარმოება თუ მრეწველობა უცხოთა ხელში გადადის. ხოლო ასეთ შემთხვევაში ის არ ხდება, რასაც მთავრობა ემსახურება—ძალდატანებით ასიმილაციას ერისას აქ ადგილი არ აქვს.

რომ ეტნოგრაფიული ტერიტორიის მთლიანობას, მის ერთგვარობას ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამას მოწმობს ისეთი სკეპტიკური მოაზროვნეც კი პატარა ერთა მომავლის შესახებ, როგორიც იყო კ. მარქსი, რომელიც ამბობდა, რომ ამა თუ იმ ნაციის ცხოველმყოფელობის, გამძლეობის უნარის საკითხს სწყვეტს მისი რაოდენობა და ის გარემოება, თუ რამდენათ მჭიდროთ არის დასახლებული იგი ერთგვარ ტერიტორიაზე.

ჭიათურის რაიონში და ტყიბულში უცხო კაპიტალისტების მიერ ადგილ-მამულების შეძენა, წვრილი წარმოების თითქმის ერთიანათ დაცემა, ბორჩალოში კეზელის ყველის წარმოების გადასვლა გერმანელის ხელში, ქართლში აშურიანის ყიდვა მანთაშევის მიერ და სხვა ამის მზგავსი მოვლენები, უეჭველია, ტერიტორიის მთლიანობის შესუსტებასაც ნიშნავს და წვრილი მრეწველობა-წარმოების დამარცხებასაც. ხოლო აქ ასიმილაციაზე ლაპარაკი მეტია, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში პოლიტიკურ მიზნებს ადგილი არ აქვს. მაგრამ აქ საბრძოლველი მაინც ის გვრჩება, რაც ეროვნულათ გვასუსტებს: როგორც ვსთქვით, ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევასთან, და სხვილი კაპიტალის ძალასთან რამდენათ ეს სხვილი კაპიტალი წვრილი კაპიტალის ერთიანად მოსპობას ლამის. ამ მხრით, სხვათა შორის, მეტად სასარგებლო იქნებოდა, რომ ჩვენში ჩვეულებათ შემოვიდეს დიდი მამულების გაყიდვის ნაცვლათ მათი ხანგრძლივი იჯარით გაცემა. ამ სახით, არც ერს ეკარგვის ტერიტორია და მრეწველობის განვითარების საქმეც იგებს—უცხო კაპიტალის საშვალებით ჩვენში აღმოცენდება ბევრი ახალი მრეწველობა-წარმოებანი. ვიდრე ნივთიერათ გავძლიერდებოდეთ, ვიდრე სხვილი კაპიტალები გაჩნდება თვით ქართველთა შორის. მანამდი უცხო კაპიტალის დახმარება ჩვენთვის აუცილებელია. არც თუ მემამულენი იქნებიან ამ სისტემით დაჩაგრულნი—ხანგრძლივი იჯარა თითქმის საკუთრებით გადასვლის საფასურს იძლევა ხშირად. ასეთის იჯარით, მაგალ., დიდი ტყეები შეიძინეს უცხოელებმა რაჭა-ლეჩხუმში.

ამაზე უკეთესი გამოსავალი კი ასეთ შემთხვევაში ის იქნებოდა, რომ რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის საშვალებით გასასყიდი მამულები მიწისმოქმედთა კლასის ხელში გადასულიყო. რომ ბოლოს და ბოლოს მრჩენელი მიწა იმას უნდა ხვდეს, ვინც მისი გამოყენება, მისი ფასი იცის, ვინც მის საზრიან მოვლას შეიძლებს, ეს დღეზე ნათელია. რომ თავად-აზნაურთა მამულების მობილიზაცია აუცილებელია, რომ ამ მობილიზაციის შეჩერება სიტყვა-დარიგებით წყლის ნაყვაა—ესეც თავისთავათ ცხადია. მაშასადამე, ხალხის და ქვეყნის ჭირისუფალთა მისია აქ ის არის მხოლოდ, რომ საჭირო და სასარგებლო მიმდინარეობა მისცეს ამ საადგილ მამულო მობილიზაციას.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ სადაც პოლიტიკა არ ურევია, იქ ტერიტორიის დაკარგვას ერთი შედეგები აქვს, ხოლო სადაც კოლონიზაცია პოლიტიკური მიზნით სწარმოებს, იქ ამ შედეგებს სხვაც ერთვის. როგორც ვსთქვით, ჩვენში მთავრობა კოლონიზაციით მარტოოდენ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება—ძალდატანებითი ასიმილაციის საქმეს.

როდესაც გაზეთებში ჩვენ ტირიფონის ველზე ჯარის დაბანაკების ამბავი ამოვიკითხეთ, აქ ჩვენი ყურადღება ორმა გარემოებამ მიიპყრო: ასი ათასის ჯარის დასადგურებამ შუაგულ ქართლში და თორმეტი სოფლის აყრამ. აქ ჩვენ მყისვე ასიმილაციის საკითხი დაგვიდგა წინ.

რამდენათ ასიმილაცია თავისთავათ, ბუნებრივ ხდება. ამას, რა გაეწყობა, ყოველი ძალა უნებურათ ემორჩილება. ხოლო ხელოვნური პირობების შექმნა საასიმილაციოთ, ძალდატანებითი მოქმედებანი ამ მიზნით, ეს ისეთი რამ არის, რომლის წინაღმდეგ ბრძოლაც მართებს ყოველ დამცველს ეროვნებისას, მის თავისებურობათა, მის სხვაობათა.

აკი მოგახსენეთ, რუსის მთავრობის მიერ მოწყობილ გადმოსახლების თუ ჩასახლების საქმეში ძალდატანებით სისტემას პირველი როლი უკავია. აქაც, უეჭველია, არც თუ უამისობაა. მარტო თვით ფაქტი ასე დიდი ჯარის შუაგულში დაბანაკებისა, თუნდაც მარტო სეზონობით, სახიფათოა, და სახიფათოა იმიტომ, რომ აქ უმცირესობა-უმრავლესობის როლები იცვლება.

საზოგადოთ ისე ხდება, რომ ასიმილაციის მხრით უმრავლესობა უმცირესობას იმორჩილებს, ზოგიერთ შემთხვევათა გარდა, როდესაც უმცირესობა გადაგვარებას უმკლავდება და თავის ეროვნებას ინარჩუნებს. ასი ათასის ჯარის დასადგურება უმრავლესობის როლს რუსობას ანიჭებს გორის მაზრაში და, მაშასადამე, ამ მაზრის ქართველობა ეროვნული ასიმილაციის საზოგადო კანონის ძალას. ვერას გზით ვერ წინააღუდგება. აქ გადამგვარებელი პროცესი ისე ძლიერი და ჩქარი ტემპისა ვერ იქნება, რადგან მთელი ჯარი აქ მხოლოდ პერიოდულათ მოიყრის თავს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ აქ ქართლში ეროვნული თვითშეგნება ხალხში სუსტია, კულტურული დონე დაბალია, უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი უცხო გავლენა უფრო ადვილათ მოიკიდებს ფეხს, ვიდრე, მაგ., იმერეთში იმავე პირობებში.

ასიმილაციის საქმეში, რაოდენობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, თუ როგორ, რა სისტემით არის ჩასახლებული უცხო ელემენტი სხვის ეტნოგრაფიულ ტერიტორიაზე. იგივე ასი ათასი კაცი რომ მთელ საქართველოს სივრცეზე იყოს დაფანტული ნაკუწ-ნაკუწათ, პატარ-პატარა ჯგუფებათ, მაშინ ერს გადაგვარების მხრით არაფერი საფიქრებელი არ ექნებოდა და, პირიქით, თვით უცხო ელემენტი განიცდიდა საასიმილაციო ზეგავლენას.

აი ყოველი ეს რომ გავითვალისწინეთ, ამილახორთა მამულზე პოლიგონის მოწყობამ ჩვენ დიალ დაგვაფიქრა. თუ ჩვენში სადმე საზოგადოებრივი აზრი, ავ-კარგის შეგნება არის, უნდა ვეცადოთ ყოველნაირათ არ შევლახოთ ეროვნული ინტერესი. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სამხედრო უწყებას სხვა გამოსავალი არა ქონდეს. ჩვენ არა გვგონია, რომ მამულების იძულებითი ჩამორთმევაზე მივარდეს საქმე, მით უფრო, რომ ამას ასეთ შემთხვევაში არც კანონი ადასტურებს. ვფიქრობთ, რომ თორმეტი სოფლის აყრას და მცხოვრებთა პოგანოთ გადაქცევას არც მთავრობა მოინდომებს, ვინაიდან ბოგანო და ეული მძიმე ტვირთია, ერთობ სახიფათო ელემენტია სახელმწიფოსთვის.

მაგრამ თუ ჩვენმა ცდამ ვერ გასჭრა, მაშინ რა ვქნათ, რა ვიღონოთ შვიდას კომლ უსახლკაროთ დარჩენილ გლეხთათვის?

იმ საბურთალოსთვის, სადაც პოლიტეხნიკუმის დაარსება იყო განზრახული, უკეთეს დანიშნულებას ვერ გამოვნახავთ, როგორც სწორეთ, აი, ამ აყრილი სოფლების მკვიდრთა დასახლებას. საბურთალოზე და მის მიდამოებში იმდენი სამოსახლო და სახნავ-სათესი ადგილი მოიძებნება, რომ აყრილთა აქ შემოხიზვნა რაიმე გარდუვალ სიძნელეს არ წარმოადგენს. ადგილი იმდენია, რომ სამოსახლოთ არათუ შვიდას კომლს, ერთიორათ და ერთი-სამათ მეტს რაოდენობას დააკმაყოფილებს.

აი აქ, ამ ჩვენი ღვიძლი ძმების მოწყობის საქმეში დიალ დიდი იშვიათი ღვაწლი შეუძლია დასდვას ქვეყანას თავად-აზნაურობამ ანუ, უკეთ ვსთქვათ, იმ შეგნებულმა ნაწილმა ამ კლასისა, რომელსაც მშობელი ერის ინტერესებისადმი სამსახური, მის ჭირ ვარამზე, მომავალ ბედ-იღბალზე ზრუნვა-ფიქრი თავისი საზოგადოებრივი მოქმედების საგნათ გაუხდია. ჩვენ მივმართავთ იმათ და მათი საშვალებით საბურთალოს ადგილ-მამულის მესაკუთრეთ—გასწიეთ ნივთიერი სხვერპლი, დასთმეთ, შესწირეთ ის, რაც სულითა და გულით გეწადათ უსასყიდლოთ გადაგეცათ უმაღლეს სასწავლებლისათვის. ეს ისეთი დიდი მამულიშვილური აქტი, ისეთი საშვილიშვილო საქმე იქნება, რომლის მზგავსაც ვერ მოსძებნით თქვენი უკანასკნელი ისტორიული ცხოვრების მატიანეში. გახსოვდეთ, რომ ჩვენი ახლანდელი ეროვნული ყოფა ისეთია, რომ თუ ჩვენი უკანასკნელი ძალები ნივთიერი თუ სხვაგვარი არ მოვიხმეთ, თავს ვერ გავიტანთ, ბრძოლაში დავმარცხდებით, ეროვნულათ დავირღვევით. ნუ დაივიწყებთ, ორი-სამი ასეთი აქტი და ძალთა განწყობილება ძირეულათ შეიცვლება ჩვენს დედა-ქალაქში. ეროვნების დასაცავათ წარმოებული კულტურული მშვიდობიანი ბრძოლის ერთი თვალსაჩინო, მეტად მნიშვნელოვანი აქტი იქნებოდა, რომ შეიძლებდეთ და უსახლკაროთ მფარველობას გაუწევდეთ. წართმეული პოზიციების დაპყრობის გზაზე გლეხთა მასიური შემოხიზვნა თფილისში ისეთი რამ არის, რომელიც ეროვნული გაძლიერებისათვის ბევრს აკეთებს და ცოტას ყვირის, რომელსაც ერთა შორის ურთიერთობაში შუღლი, გამწვავება, კინკლაობა არ შეაქვს. ეს და ამის მზგავსი აქტები ის კეთილშობილური, კულტურული მეტოქეობაა, რომელიც მხოლოდ წარმატების ფაქტორია.

ამავე თხოვნით მივმართავთ იმათაც, რომელთაც საბურთალოს მიწის ნაკვეთები აიღეს და განსაზღვრული ბეი ბანკებში დასდვეს თფილისის გუბერნიის წინამძღოლის დეპოზიტში. ასეთები საკმაო რიცხვია როგორც თფილისში, გარეშე თავად-აზნაურობის წრისა, ისე პროვინციაში—ქუთაისში და სხვაგან.

იმათ, ვისაც საბურთალოში ადგილ მამულის შეძენის სურვილი გაუცხადებიათ და ასი-ორასი მანეთი ბეთ შეუტანიათ, არც თუ დიდათ გაუჭირდებათ ეს უკვე გაღებული ფული ისეთ საქმეს შესწირონ, რომელსაც, აკი მოგახსენეთ, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ნუთუ ქართველთა გაძლიერება დედა-ქალაქში თუ რაოდენობით, თუ კულტურულათ, თუ ქონებრივ-უფლებრივ ისეთი საქმე არ არის, რომ ას-ორას მანეთს ვერ გაიმეტებენ ისინი, ვინც, ვფიქრობთ, შეგნებით და წინასწარი განსაზღვრული მიზნით იღებდენ მიწის ნაკვეთებს? ქართველობის გაძლიერებას თფილისში ამ სახით და ამ საშვალებით ხომ ამასთანავე ის დიდი ღირსებაც აქვს, რომ საშვალება იგი ის კულტურული გზაა, რომელიც ერთა დამოკიდებულებას ოდნავაც არ ამწვავებს, ცხოვრების ჩვეულებრივ მიმდინარეობას ოდნავაც არ არღვევს.

მარტო ქუთაისში ბეის ფული შეგროვდა ათიათას მანეთამდი. თუ ამას დავუმატებთ თფილისში და სხვა დაბა-ქალაქებში ბეით შეგროვილ ფულს, თუ გარეშე ბეის ფულისა ამასთანავე ოც-ოცდა ათი ათას შეწირულებით შევკრებთ, ჩვენ ხელთ გვექნება იმდენი თანხა მაინც, რომელიც ახლათ დასახლებულებს დახმარებათ უნდა მიეცეს აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ პირველ ხანებში—უბრალო სახლების ასაგებათ, იარაღის, საქონლის შესაძენათ და სხ. რა თქმა უნდა, ეს თანხა სრულად ვერ გაუძლევა ყველა ამ საჭიროებას. მას მხოლოდ სუბსიდიალური მნიშვნელობა ექნება. უმთავრესი სახსარი კი თვით აყრილ სოფელთა სარჩო-საბადებლის საფასური იქნება, რომელიც ხაზინამ უნდა გაიღოს, თუ მართლაც და სოფლებს აყრის.

ერთიც უნდა ვსთქვათ საბურთალოს ახლანდელ მესაკუთრეთა საყურადღებოთ. მასიურ დასახლებას რამდენიმე ასი კომლისას, რაც უნდა ღარიბი იყოს დასახლებულთა კონტინგენტი, თავის აუცილებელ შედეგათ მიწებზე ფასების მომატება მოყვება, მით უფრო, თუ ახალ უბანში წყალსადენიც გაიმართება, თუ იგი ტრამვაით ცენტრს შეუერთდება და სხვა ქალაქის კეთილმოწყობილება შემოვა, რაიც, უეჭველია, მალე მოხდება, თუ, მართლაც მთელი ახალი უბანი გაჩნდება. ეს გარემოებაც უნდა გაითვალისწინონ საბურთალოს მემამულეებმა. ესეც ერთნაირი ეკვივალენტი იქნება იმ ნივთიერი სხვერპლისა, რომელსაც იმათგან ვითხოვთ ამ ჟამად ჩვენი ერის ინტერესების დასაცავათ და შვიდასი კომლი გლეხკაცის მდგომარეობის შესამსუბუქებლათ.

მაგრამ ჩვენი აზრი მარტო სიტყვა, რომელიც, თუ საქმით არ განხორციელდა, სიტყვათვე დარჩება. ვინ მოაწყოს ეს საქმე? ვინ იკვლიოს, ვინ იკისროს ეს ძნელი, მაგრამ მადლიერი მისსია?—აი მთავარი საკითხი.

ზემოთ ჩვენც ვსთქვით და არა ერთხელ პრესაშიც გამოთქმულა აზრი რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის საჭიროებაზე ტერიტორიალურ საკითხთა გაძღოლა-მოწესრიგებისათვის. მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ სუსტნი ვართ ბევრნაირათ, ასეთი ორგანიზაცია აქამდი ვერ გაჩნდა და ამ მოკლე ხანში ვერც გაჩნდება. ზოგი რამ კი ტერიტორიის საკითხთა სფეროში არ იცდის და თხოულობს დაუყონებლივ გადაწყვეტას. ასეთია, მაგ., თორმეტი აყრილი სოფლის მკვიდრთა დაბინავების საკითხი, თუ სამხედრო უწყებამ სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა. რაცა გვაქვს, მაშასადამე, იმით უნდა გაუძლვეთ. ჩვენის ფიქრით, თფილისის თავად-აზნაურთა უკვე არსებულმა საადგილ-მამულო კომისიამ უნდა იდვას თავს ამ საკითხის გადაწყვეტა, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ვაყენებთ და არა ვსწყვეტთ—კარგათ გვესმის მთელი სირთულე, სიძნელე საკითხისა. ხოლო თუ საქმე მარტო დასაძლევ სიძნელეშია და არა შეუძლებლობაში ჩვენს ახლანდელ პირობებში, არსებულმა კომისიამ ხელი არ უნდა აიღოს ამ საქმის განხორციელებაზე, ვინაიდან კომისიამ კარგათ უნდა უწყოდეს, რომ უკეთესსა და უფრო დიდს საქმეს იგი, დღესდღეობით მაინც, ვერას გააკეთებს.*)

გრ. გველესიანი.

*) ვინაიდან საკითხი მეტათ საყურადღებო და რთულია, ვსთხოვთ, ამიტომ, ჩვენ ჭირისუფალ გამოცემებს თავისი აზრი გამოსთქვან ჩვენ მიერ აძრულ საგანზე.

გრ. გველესიანი.

# დღიური

— რუსეთსა და იაპონიას ჩინეთის წინააღმდეგ კავშირის შესაკვრელათ მოლაპარაკება აქვთ.

— გერმანიის რაიხსტაგში სადამოჟნო ტარიფის შესახებ კანონპროექტს იხილვენ.

— ოსმალეთმა არგენტინაში ნაღმოსანი გემი იყიდა.

— საფრანგეთის პარლამენტმა პიკარის დასაფლავებისათვის 20 ათასი ფრანკი გადასდვა.

— ინგლისში ლოიდჯორჯსა და ჩერჩილს საზღვაო პოლიტიკის შესახებ უთანხმოება აქვთ.

— სანურასიმის კუნძულზე მთის ამოხეთქამ 4 მილიონი მანეთის ზარალი მოიტანა.

— რუსეთის ბევრ ქალაქში მასიური ჩხრეკა და დაპატიმრებაა.

# პასუხი ბ. ნ. ნიკოლაძეს.

(იხ. „ერი"-ს მე-13 №).

ავტორი ბძანებს, ავტონომიას არაოდეს არ დავსცინოდიო. მაგრამ, ავტონომისტებს რომ დასცინოდა, ამას ხომ ვერც თვითონ უარყოფს. და, თუ კი, ბ. ნიკო, ავტონომია უტოპიათ და ოცნებათ მიგაჩნიათ, ეს განა ავტონომიის უარყოფა არ არის?!

„ავტონომიის უარმყოფელი არა ვარო" რომ გვარწმუნებთ, რისთვის ცდილობთ გაუტეხოთ სახელი ავტონომიას ყოველგვარი საშვალებით?!

თუმცა, გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, არცერთი მაგალითი არ ალგინიშნავთ სისწორით. არ არის მართალი, **1857** წ. მეგრელები ავტონომიას უარყოფდენ და აუჯანყდენო, რომ ბძანებთ, მეგრელები აუჯანყდენ მხოლოდ სამეგრელოს დედოფლის მოურავის ძალმომრეობას, აჯანყებული გლეხების დასამშვიდებლათ რუსები, ხალხმა კი არა, დედოფალმა მოიწვია. და, თუ რუსულმა მთავრობამ სამეგრელოს ავტონომია გააუქმა, ამის მიზეზი სულ სხვა იყო.

მაგრამ, კიდევაც რომ ბიუროკრატიას გადაებირებია და აეჯანყებია ხალხი სხვადასხვა დაპირებით, განა ეს გამოდგებოდა საბუთად ავტონომიის წინააღმდეგ. გაიხსენეთ, ავსტრიის ბიუროკრატიამ რომ აუჯანყა **1846** წ. გლეხები რევოლუციონერებს გალიციაში და ბევრი სხვა ამგვარი ფაქტი. ბიუროკრატია ყოველთვის ამ პრინციპს აწარმოებდა: „გაყავი და იუფლეო“.

რაც შეეხება ხივასა და ბუხარას, მართალი მოგახსენოთ, არც ოდესმე გამიგონია და არც სადმე წამიკითხავს, რომ ისინი ავტონომიას ემდუროდენ. ისინი ემდურიან მხოლოდ ცუდ მართვაგამგეობასა და წესწყობილებას. და, თუ ვცდები, კეთილ-ინებეთ, ბ. ნიკო, და დაასახელეთ, წყაროები თქვენ მიერ ნათქვამის დასამტკიცებლათ.

ალბანეთის ავტონომიისთვის სამმა სახელმწიფომ იშიშვლა ხმალი, რადგან ადრიატიკის ზღვა სჭირდებათო, კავკასიისთვის კი არავინ არ გამოიდებს თავსო, ბძანებთ.

გავიმეორებ ამის შესახებ ჩემ მიერ ნათქვამს. რკინის გზებმა, ორთქლ-მავლებმა, ტელეგრაფმა და თანამედროვე მრეწველობამ მთელი ქვეყანა გააერთიანა ეკონომიურათ და სხვადასხვა ერის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს გადააჯაჭვა, დაუკავშირა. და მარტო ალბანეთი, კი არა, თითოეული მხარე წარმოადგენს რგოლს ამ საერთო ჯაჭვში იმავე დროს თითოეული სახელმწიფო ცდილობს, პოლიტიკური წონასწორობა არ იქნეს დარღვეული, პოლიტიკურმა სასწორმა რომელსამე მხარესკენ არ გადასძლიოს.

და ძველ დროს რომ იმოწმებთ თქვენი აზრის დასამტკიცებლათ, მაშინდელი დრო და გარემოება სულ სხვაა.

მაგალითად, თანამედროვე დემოკრატიის ზდა, ხალხის გამოღვიძება, ეროვნული შეგნების განვითარება—სრულიად ახალი ფაქტორებია. მოიშორეთ ცოტა ხნს ბიუროკრატიული თვალსაზრისი, მიმოიხედეთ გარშემო, დაუკვირდით ცხოვრებას და სულ სხვა რასმე დაინახავთ. აიღეთ, მაგალითად, მთელი რუსეთის პირველდაწყებითი შკოლების მასწავლებელთა კრება.

მართალია, მის რეზოლუციებსა და დადგენილებათ, არ აქვს ჯერ პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ რამდენს რასმე გვეუბნება და მოასწავებს! ვისაც აქვს თვალი ხედვად და ყურნი სმენად, უთუოთ დაინახავდა და გაიგონებდა.

აი, სად არის ჩვენი იმედი, საიდან ველით შველასა და ხსნას.

**ტუვია.**

## ქართული პრესა.

ამბარცუმ ცერელოვის „ორლანო“ დიდი ხუმარა რამ არის, მაგრამ დიდი თავხედიც. ეს უკანასკნელი გვაიძულებს ლაგამი ამოვსდვათ მის გაუხედნელ ბედაურს №-ს, რომელიც უზდელ ტლინკებს ისვრის „ფიქრის“ უკანასკნელ ნუმერში და ორი ჩვენი სიამაყის შესახებ უკბილოთ ოხუნჯობს:

„მე ალმოვაჩინე ერთი მკვლელთაგანი ილია ჭავჭავაძისა.

თუ მკვლელთაგანი არა—შეთქმულთაგანი, თუ შეთქმულთაგანი არა, ერთი იმათგანი, ვისაც ზნეობრივი ბრალი ედება ილიას მკვლელობაში. ერთი იმათგანი, ვინც ნიადაგი მოუმზადა ილიას მკვლელობას. ვინც ილია შეაძულა ხალხს იმით, რომ მას „კონსერვატორის“, „რეაქციონერის“ სახელი უწოდა..

არ შეგეშინდეთ კი და პირდაპირ დავასახელებ: **არჩილ ჯორჯაძე**“.

რა სანატრელი რამ გახდა ჩვენთვის ნეტარხსენებული გეროსტრატე, რომელმაც მარტოოდენ ერთი ტაძარი უასწვა, მაგრამ სხვა არც არაფერი დაუწვამს, არც არავინ მოუკლავს, არც არავის თავხედი ხითხითით გამასპინძლებია!..

## ახალი ამბავი.

**ჩინებული** და მხიარული იყო სტუდენტების საღამო გუშინწინ, კვირას. ცეკვა თამაში დილამდი არ შეწყვეტილა, საუცხოო იყო განსაკუთრებით ლეკური... შემოსავლის მხრითაც საღამო კარგი უნდა დარჩეს, რადგან ვაჭრობა მარჯვეთ მიდიოდა.

✦ ფოთის ქალაქის გამგეობამ ოპოზიციის თავიდან მოსაშორებლათ, მოისურვა ახლანდელი საბჭო ვადაზე ადრე იქნას გადამდგარი და ახალი არჩევნები მოახდინოს ახლავე. ამ მიზნით მიმართა თხოვნით პოლიციას, ნებართვა გამოითხოვე გუბერნატორისაგან **12** იანვარს მოხდეს ამრჩევლების ყრილობა ამ საგანზე მოსალაპარაკებლათ და შვამდგომლობის შესადგენათო, ახლანდელი საბჭოს ვადა ამ წლის ეკენისთვეში თავდება და გამგეობას არ სურს მოითმინოს ამ ვადამდის.

პოლიციამ გუშინ დეპეშით მოახსენა გუბერნატორს გამგეობის შვამდგომლობა და დღეს, **11** იანვარს, მიიღო პასუხი შემდეგი შინაარსისა;

„არსებული წესით ქალაქის საარჩევნო სიის შედგენამდი შეუძლებლათ მიმაჩნია წინასწარი კრებ-ს მოწვევის ნებართვა“.

ამნაირათ გამგეობას კოვზი ნაცარში ჩაუვარდაო, გვწერენ ფოთიდან და დიდათ სასურველი იყო კრება შემდგარიყო ვინაიდან იქაც გაუცრუვდებოდა გამგეობას თავისი იმედები. თამამათ შეიძლება ითქვას—,რომ ხალხის უმრავლესობა მოიწონებდა ოპოზიციის მოქმედებასო...

✦ ქუთაისის საოლქო საქმეთა საკრებულომ განიხილა ფოთის ყოფილი ინჟინრის ცინცაძის საჩივარი ქალაქის საბჭოზე რომელსაც იგი **4** ათას მანეთს ედავებოდა. საკრებულომ ხსენებული საჩივარი უსაფუძვლოთ დასტოვა. ამასთანავე სასამართლომ და შეუსაბამო სიტყვებისათვის, რომლითაც ცინცაძე ქალაქის საბჭოსა და გამგეობას იხსენებიებს, იგი პასუხის გებაში იქნეს მიცემული და საქმე პროკურორს გადაეცეს.

✦ **15** იანვარს ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს შალომ რიჟინაშვილისა და კარპე შერაშენიძის საქმეს.

✦ **13** იანვარს საქალაქო საქმეთა საკრებულოს სხდომა ქონდა იმის შესახებ, თუ რა ხარჯი ურდა დაეკისროს ქალაქებს პოლიციის შესანახათ.

✦ **15** იანვარს ქალაქის თეატრში ცნობილი მომღერალი ვავიჩი კონცერტს მართავს.

### თფილისი.

✦ **წმ. ნინოობა.** ეგზარხოსის განკარგულებით ერევნის ეპისკოპოზი პიმენი სიღნაღს მიემგზავრება, სადაც **14** იანვარს ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ეკლესიაში სწირავს. ამავ დღეს მცხეთის სამთავრო წმ. ნინოს დედათა მონასტრის ეკლესიაში მწირველი იქნება საქართველოს საეგზარხოსოს მონასტრების „ბლოღოჩინი“ არქიმანდრიტი ნაზარი.

„ს. გ.“

## სამშაბათელა.

ერთმა კაი წარჩინებულმა, გუბერნიის დიდმა მოხელემ ვახშმათ მიგვიწვია. მისი დიდი მეუღლე რაღაცას აწყობდა, მე და ჩემი ამხანაგები დავეხმარეთ და სამაგიერო პატივი გვცა. იცოცხლეთ, ჩვენ იქით მომხეული წავედით, მარა, იცოცხლეთ, ჩვენ მუცელ-გამომწლეული იქიდან დავბრუნდით. სუფრა თუ? თავამდი იყო სავსე. ოხრათ ეყარა ყველაფერი. ლაქიები მისთანა დაგვტრიალობდენ თავზე, პროკურორები გეგონებოდა... მარა სწორეთ ამ ლაქიებმა ამოიღო ჩვენი სული. „ბლუდები“ იმდენი შემოიტანეს, რო დათვლასაც ვერ აუვედით, მარა კერძის დადებას ვერ მოასწრებდი, ერთ ლუკმას გადოუძახებდი თვარა, აგერ იყო გაგზირებული მეორე და ეს შენი ხელუხლებელი ულუფა სიზმარივით ქრებოდა, მიარბენიებდა. და კიდეც რომ არ წაეღო, ჩვენთვის უგემური იყო. საჭამადს თუ ზედ მისაჭმელი არ მიყობა უხვათ, ჩვენი კაცი ვერაფერს გემოს ვერ ჩაატანს. ჩვენ კი პაპიროზის ქაღალდივით თითო თხელი პურის ნატეხი დაგვიდევს დაჯდომისთანავე და მერე აღარც მისამატი, აღარც ბრინჯი. და უპუროთ, მოგეხსენებათ, ბოზბაშიც რო მომიტანო, რა გემო ექნება... ღვინო იყო ბ ღვთის წინაშე, ძველებურათ, ჩვენებურ ადათზე ის პროკურორი მერიქიფეები გვადგენ თავზე, სამი ჭიქა გვქონდა წინ: ერთი-კაი გვარიანი მოზდილი, საჩაე ჭიქის ხელა, მეორე უფრო ამაზე მორჩილი და მესამე სათითური. ამ სათითურით არაყი გვახუხვიეს დაჯდომისა', საშვალო ჭიქა ღვინის ყოფილა და დიდი წყალისთვის. ეს წყალის ჭიქა ძაან ახლოს ვითრიე და ღვინის განზე გავდგი, მარა ერთხელ არ შესცდა მერიქიფე-პროკურორი და ამ დიდ ჭიქაში არ ჩამისხა ღვინო. ვაი, იმდენი ოჯახი ამოგიბობლოკდა-მეთქი — გავიფიქრე გუ́ებაში, რამდენიც მე საჩაე ჭიქით კიარა, სარწყულა დოქითაც და სახარჩოე ქოთნითაც მეშუშხოს ღვინო!... შენს მტერს, ჩვენ მშიერ მწყურვალე გამოვედით იმ წარჩინებული ოჯახიდან.

ჩვენებური მასპინძლისას ხომ არ დაგემართება ეს. პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასო—ტყუილა კი არ უთქვამს ჩვენს კაცს. ულუფას მოგიტანს ძაან გაპიპინებულ საინს—ჯვარ მოაღამაზე, ცოლი არ შეგხვდება ლამაზიო; ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს და თუ ძირს დავარდეს, ეილე, სული წაუბერე და შესჭამე, თვარა ბედი გამოგეცვლება; სმა; ჭამა დიდათ შესარგი, დება რა სავარგულია; ღვინო და პური მამაპაპური, დალიე, თვარა პალური; ღვინო მოსვი კულითა, მასიამ ივნე გულითა; სადაა ცხელი ღომიო, იქაა ჩემიო ომიო. ტოლუმბაშო ნუ იპრანჭი, გადმომიგდე ღორის კანჭი; ყიფიანის ღვინო, ლამაზი ნინო; დამიდევი ბეჭი, და, თუ გინდა, შამომიჭირე ღვლეჭი; ტოლუმბაშო ბუაძე, მოდი ჭკუაზე; ჩანჩალა—მასვი ღვინო ჩქარ-ჩქარა; ღვინოა აიაზმა პურის, ნეშტარი წყლულის, ვარდი დარდის, შერბათი გულის, მალამო სულის, პარაშოკი ფულის; პურია . მაცხონებელი კუჭის, გამმაგრებელი მუჭის, გამქარვებელი ყოველი ფუჭის... ყველა ეს და, ვ ნ ი ის, კიდევ რამდენია ამისთანა... ვისი ნათქვამია, თუ იცით? ჩვენი კაცის! მაშ! ეს ადათია ჩვენი და ვერც მოვიშლით, სანამ თვით არ მოვიშლებით. არა, პატარ-პატარათ ეს მოშლაკი შამოგვეპარა ვითამ, მარა ეს სულ იმის ბრალია, რომ ჰავამ გვიღალატა, გაფუჭდა ჰავა... და თუ ასე წავა საქმე, ჩვენი აღარაფერი აღარ გავა... თვალნაკრავი შევიქენით, პატარა, პატარა კი არა გვარიანათ დავჩიავდით, შეგიცვა მოგიხდებათ და გამოგილოცავთ:

სად არის ჩვენი შველაი,<br>
რო ვჩიავდებით ყველაი?<br>
არ გავს ანუშკა ანასა<br>
აღარც სოსიკო იოსებს...<br>
ძმა-ძმაზე ლესავს დანასა...<br>
ვინც გვნახავს—ყველა იოცებს.<br>
კატია არ გავს ეკასა,<br>
აღარც სენია სიმონსა,<br>
ქალიშვილები გამხდარან,<br>
დამგვანებიან ლიმონსა.<br>
ბრალიანი და უბრალო—<br>
სუყველა ბოდავს კურსებით,<br>
თუ ასე დიდხანს გაგძელდა,<br>
შენს მტერს, ჩვენ შევიტრუსებით!<br>
თავწაყრით ჯერ საიმედო<br>
ვაჟებიც კი არ არია...<br>
გაიხსენეთ ადესელი<br>
რესტორანი „ბავარია“.<br>
არ გავს ლიზიკა ელსაბედს,<br>
აღარც სონიჩკა სოფიოს...<br>
ვაი, ჩვენს იღბალს, ჩვენსა ბედს!<br>
ვიღა მიახარშავს ლობიოს!?<br>
აღარც ქეთუშა ქეთევანს,<br>
აღარც კოლია ნიკოსა,<br>
არც ახალი გავს ძველს მტევანს,<br>
ვინღა ითავდარიგოსა?!..<br>
რუსია არ გავს რუსუდანს,<br>
აღარც თამრიკო თამარსა...<br>
ამ ყანას ვინღა მოიყვანს<br>
ჩვენი მოწაწყლის მთა-ბარსა?!<br>
აღარც დათიკო ოთიას,<br>
არცა კოტიკო კოტესა...<br>
ვაი ჩვენს ბედს და ჩვენს თიას...<br>
სიკეთე გამოგვპოტესა...<br>
სად არის ჩვენი შველაი,<br>
რო ვჩიავდებით ყველაი?!..

**სამშაბათელა.**

## კ ა პ ო ე ტ ი.

მძიმე საქმე ეჭებოდა თავადს აბესალომს...

საკატორღო საქმე!

წელიწად ნახევარს გასტანა საქმის გამოძიებამ.

ამ ხნის განმავლობაში ცოლს, შვილებს და არცერთს ნათესავს არ უნახავს თავადი აბესალომი.

—გამომძიებელი არ აძლევდა ამის ნებას.

სატუსაღოშიც კი ცალკე „სეკრეტში“ იჯდა ხელფეხ შებორკილი...

„პრაგულკაზეც“ კიკოსავით გამოუშვებდენ მარტოს და თან დარაჯი სდევდა, რომ არ გაიქცეს ან რომელსამე პატიმარს არ დაელაპარაკოსო.

წელიწადნახევრის განმავლობაში მოწყვეტილი იყო მთელ ქვეყანას თავადი: რა ხდებოდა ციხის კედლებს გარეთ, არა იცოდა.

ნათესავებმაც მხოლოდ ის იცოდენ, რომ აბესალომი ცოცხალია...

მეტი არაფერი!

როგორც იქნა ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი და შედარებით თავისუფლათ ამოისუნთქა აბესალომმა...

ახლა კი შეიძლებოდა მისი ნახვა.

მკათათვის ერთს მშვენიერ დღის დედასთან ერთად აბესალომის ცოლმაც მოისურვა დიდიხნის უნახავი ქმრის ნახვა... თან აბესალომის ძმაც წაიყვანეს.

მივიდენ სატუსაღოს კარებთან და გადასცეს ციხის უფროსს ნებართვის ქაღალდი...

ნახევარ საათს შემდეგ გაიღო ალაყაფის კარები და გამოუძახეს აბესალომის დედას, ცოლსა და ძმას.

ქალებს მომაკვდავის ფერი ედვათ.

შევიდენ მისაღებ ოთახში,

ორ-რიგი რკინის ბადეს იქით ძლივსღა იცნეს თავადი აბესალომი...

გამხდარი—გაყვითლებულიყო...

ცოლსა და დედას გული შეუწუხდათ და ციხის კანტორაში გამოიყვანეს მოსაბრუნებლათ...

აბესალომმა ერთი ხელი კი ჩააქნია და მის ძმას პეტრეს მიესალმა:

— რას შობით პეტრე? წრეულს რავარი მწყრობა იყო. ჩემმა კაპოეტმა რა ქნა. შენ არ გყოლია მიმინო. გამხდარი იყო მწყერი... სთქვი, შე კაცო, რამე. რამ დაგამუნჯა!...

ათი წუთი გათავდა და უსაღებსაც უბძანეს კამერებში დაბრუნება. .

**გ. მუმლაძე.**

## მდაბიო მოქალაქეთა კრება.

კვირას, **12** იანვარს, თანახმათ გუბერნატორის მოწერილობისა შესდგა კრება ქუთაისის მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოებისა ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში, გადასახადის გასაწერათ მოქალაქეებზე, რადგან პირველ იანვარს **1914** წ. გათავდა ვადა **1912** წელში შემოღებული მანეთიანი გადასახადისა. კრება გახსნა მამასახლისის მოადგილემ მიხ. ჯანოევმა და განუმარტა კრებას, რომ მათ ხელმეორეთ დაედასტურებიათ ზემოხსენებული გადასახადი. მოითხოვა თავჯდომარის არჩევა და არჩეულ იქნა კრების თავჯდომარეთ—ვას. ბეჟანეიშვილი, მდივნათ დ. ქებაძე.

თავჯდომარემ ვას. ბეჟანეიშვილმა მოახსენა კრებას შემდეგი: „**1** ივლისს **1913** წ. მოხდა მდაბიო მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც აირჩიეს მამასახლისათ ხელაძე და, სხვათა შორის, დაადგინეს, რომ პირველი იანვრიდან **1914** წლისა მოსპობილიყო თითოეულ კვამლზე ყოველწლიურათ მანეთის გადახდა და მის ნაცვლად შემოიღეს, ვინც რამე საჭიროებისთვის მიმართავს მამასახლისს, გადაეხადა კანცელარიის სასარგებლოთ ორი აბაზი, მამასახლისს უნდა ემსახურა უჯამაგიროთ. მას აქით განვლო ექვსმა თვემ და არავითარი ამბავი არ ეცნობა ამ დადგენილებაზე მდაბიო მოქალაქეთა კანცელარიას. გადასახადის განახლებისთვის კი ეს მეორე კრება მოახდინეს და მაცდინობენ ხელახლა დაგვბეგრონ, მიუხედავათ იმისა, რომ თვითმართებლობამ გაგვათავისუფლა ბეგარისგან. ჩემის აზრით, თუ კრება ინებებს, დღევანდელ მცირე რიცხოვან კრებაზე დავადგინოთ შემდეგი: ვინაიდან მამასახლისის მოადგილეს არავითარი ანგარიშები არ წარუდგენია წასული წლის და საზოგადოებამ არ იცის, რა საქმეები კეთდება, რა შემოსულა ფულათ და ყოფნია თუ არა შემოსავალი მოქალაქეთა გამგეობას, და გარდა ამისა, არც ის ვიცით, რა მდგომარეობაშია ჩვენი პირველი ივლისის დადგენილებანი და არჩევნები, დღეს დავადგინოთ შემდეგი:

ეთხოვოს ბ-ნ გუბერნატორს, გვაცნობოს, ამტკიცებს თუ არა პირველი ივლისის არჩევნებს და თუ არ ამტკიცებს, რაც შეიძლება, მალე დანიშნოს ხელახლა მამასახლისის არჩევანი და იმ კრებაზე მოგვეცეს უფლება ვიქონიოთ მსჯელობა ხარჯების გაწერაზეო.

**მიხ. ჯანოევმა** მოახსენა საზოგადოებას, რომ მას უთხრეს გუბერნატორის კანცელარიაში და თვითონ გუბერნატორმაც დაადასტურა, რომ **1** ივლისის კრება უკანონოთ იცნეს, თუმცა ... ... არა უცნობებიათ რა ჩვენთვისო.

**დ. ქებაძე** ... ... ვას. ბეჟანეიშვილმა, როგორც სარევიზიო კომისიის თავჯდომარემ მოახდინა რევიზია დანარჩენი სარევიზიო კომისიის წევრების დასწრებით და, სასურველია, რევიზიის შედეგი მოხსენდეს კრებას.

**ვ. ბეჟანეიშვილმა** წაიკითხა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომლითაც გამორკვეულია, რომ მ. ჯანოევს ჯამაგირი არ ეკუთნოდა და აუღია კი **370** მან. და **79** მ. უკანონო თვე მიუცია იზ. გოგოლაშვილისთვის საზ. კრებამ დაადგინა წარედგინოს გუბერნატორს დღევანდელ ოქმთან ერთად სარევიზიო კომისიის მოხსენებაც.

კრებამ მიიღო მხედველობაში გუბერნატორის მოწერილობა და დაადგინა შემდეგი:

ეთხოვოს ბ-ნ გუბერნატორს, აცნობოს მდაბიო მოქალაქეთა გამგეობას, რა მდგომარეობაშია, ჩვენი **1** ივლისის დადგენილება და არჩევნები, და თუ მართლა, როგორც ბ-ნმა ჯანოევმა განაცხადა, უკანონოთ არის ცნობილი ის კრება, მოგვეცეს ახალი კრების მოწვევის ნება, რაც შეიძლება ახლო მომავალში, რომელზედაც ავირჩევთ მამასახლისს და ვიქონიებთ მსჯელობას ხარჯების დასაფარავათ გადასახადის რაოდენობაზე და გაწერაზე. დასასრულ დაევალა მამასახლისის მოადგილეს, მომავალი კრებისთვის დაამზადოს დაწვრილებითი ანგარიში.

ერთი მოქალაქეთაგანი.

## მომავალი წყლის არხი.

### სოფლის საზოგადოებათა კრებები.

**სოფ. ფარცხნაყანევი.** **12** იანვარს სოფ. ფარცხნაყანევში ბოქაულისა და მამასახლისის თანდასწრებით მოხდა საზოგადო ყრილობა, რომელსაც დაესწრო **800** კომლი გლეხი და **30** სასულიერო პირი. აქიმმა კოსტ. ტყეშელაშვილმა განუმარტა დამსწრე საზოგადოებას არხის მნიშვნელობა და გააცნო მის მიერ შემუშავებული „განაჩენის“ მუხლები. აქიმ ტყეშელაშვილს შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მამა ლაზარე ფხაკაძემ, რომელიც სთხოვდა საზოგადოებას ამ კეთილი საქმისათვის უარი არ ეყოთ, კარგათ დაფიქრებულიყვენ და საშვილიშვილო ცოდვა არ ჩაედინათ. ათიოდე კაცი აქაც გამოჩნდა, რომელთაც სურდათ საქმისთვის ევნოთ და გაიძახოდენ: ჩვენ ვერ შევსძლებთ არხის გაყვანას, მთავრობამ გამოგვიყვანოს თავისი ხარჯითო. საზოგადოებამ ერთხმათ მოსთხოვა ამ ვაჟბატონებს, თუ არა სურთ, ხელს ნუ მოაწერენ „პრიგოვორზე“. მათ კარგათ იციან წყლის მნიშვნელობა, მაგრამ ვერას გზით ვერ ალაგმეს მანამდი, სანამ მათ ბოქაულმა წინადადება არ მისცა კრებიდან გასულიყვენ და წესიერება არ დაერღვიათ. საზოგადოებამ ერთხმათ მიიღო ტყეშელაშვილის მოხსენება და აირჩია ვექილები და სარევიზიო კომისია. ვექილებათ აირჩიეს: სვიმონ თევდორაძე, პავლე ფხაკაძე, ზურაბ კიკვაძე და ალექსი ნიქაბაძე, რომლებსაც მისცეს ყოველივე უფლება **250** მუხ. სამოქალაქო წესდებაში მოხსენებული და დაავალეს: შეკრან კავშირი მეზობელ ქვიტირისა და მაღლაკის გლეხთა რწმუნებულებთან, თავად-აზნაურობისა, სამღვდელოების წარმომადგენლებთან და აღსძრან შვამდგომლობა სარწყავი არხის გამოყვანის ნების ასაღებათ; რადგან მრავალი მცხოვრები რკინისგზის გადაღმით ცხოვრობს. აღძრან შვამდგომლობა, რკინისგზის სამინისტროს წინაშე, რათა მან ნება დართოს, ლიანდაგ ქვეშ მილის გაყვანის მილის საშვალებით, აიღონ საჭირო სესხი და ან მოკრიფონ საჭირო თანხა მონაწილეთა შორის; საზოგადოებაში აკრეფილი ფულები უნდა ინახებოდეს საკრედიტო დაწესებულებაში. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ნიკიფორე გუბელაძე, ალექსანდრე ფხაკაძე და ისიდორე კიკვაძე. ახლა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერთი უმთავრესი არხის გადმოყვანის სა-

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება ძლიერ ზომიერ ფასებში
რუსული კალენდრები საუკეთესო გამოცემა ოტტო კირხნერისა და სიტინის ამხანაგობისა.
ტყავის პორტფელები (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები
კალათები ქაღალდის ჩასაყრელი.

დუკა დამშვიდის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის
ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა
ალექსანდრეს ქუჩაზე.

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინოლეუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აურებელი ასარჩევი ნიმუში, შპალიერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი.

კითხი, რომელიც მორწყავს მაღლაკისა და ფარცხანაყანევის საზოგადოების მიწებს, ბ. აქ. კოსტ. ტყეშელაშვილის მეცადინობით უკვე ხორციელდება და სასურველ შედეგს იძლევა. ვუსურვოთ ახლად არჩეულ ჯექილებს, გულმოდგინეთ მოეკიდონ ხელი ამ კეთილი საქმისთვის და პირნათლად შეასრულებინონ მათზე დავალებული ხალხის ნდობა, რითაც ისინი უკვდავ ყოფენ თავის სახელს შთამომავლობათა შორის. მომავალი კრება დანიშნულია სოფელ ქვიტირის საზოგადოებაში ამა იანვრის 19 რიცხვს, დღით კვირას, და ვუსურვოთ მათაც წაებაძონ მეზობელ მაღლაკისა და ფარცხანაყანევის გლეხთა მაგალითისთვის.

ვეტია.

## თეატრი და ხელოვნება.

**„ირინეს ბედნიერება" დ. კლდიაშვილისა და „დატრიალდა ჯარა"**

კვირას, 12 იანვარს, სახალხო უნივერსიტეტთან არსებულმა სცენის მოყვარეთა სექციამ გამართა იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა. წარმოადგინეს „ირინეს ბედნიერება" დ. კლდიაშვილისა და ვოდევილი: „დატრიალდა ჯარა". წარმოდგენამ ძალიან სუსტად ჩაიარა, რადგან, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, სცენის მოყვარეთა სექციაში ისეთი სცენის მოყვარენი შედიან, რომელთა სცენაზე გამოყვანაც და რომელთა „თამაშის" ცქერასაც დიდი ქველმოქმედი ბუნება სჭირია. ბუნებრივი და კარგი იყო ჩვენი დამსახურებული, ნიჭიერი მსახიობი ვ. ბალანჩივაძე, რომლის „ფილიპეს" ბევრში აღუძრავს აღფრთოვანება. კარგები იყვნენ ქაჯაიას ქალი და პაპავას ასული. დანარჩენი მოთამაშენი ძალზე მოისუსტებდნენ. ვოდევილში მშვენიერათ ჩაატარა სოსიას როლი ბ-ნმა ტყეშელაშვილმა, რომლის ტეტიური კილოც ბუნებრივი იყო, და რომლის თამაშმაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება. რაც შეეხება გ. ლორთქიფანიძეს, ვურჩევთ ახალგაზდა სცენისმოყვარეს „შარეს", თავი ანებოს და პირველხარისხოვან როლებს ხელს ნუ კიდებს, რადგან საამისოთ ძალა არ შესწევს. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო.

—ბ

## დაბა-სოფელი.

**დ. აბაშა (ოდიში).** აბაშა ჩინებულათ მორთული პატარა დაბაა; აქ მოიპოვება ინტელიგენტური ძალებიც, მაგრამ იგი არავითარ საზოგადო საქმის ინტერესს არ ემსახურებიან... არ არსებობს თეატრი, არაა კოოპერატიული სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომ მით ხალხმა ისარგებლოს. არის ერთი სამკითხველო და ისიც ძლიერ ღარიბია ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით.

ძლიერ გულნატკენი დარჩებით, რომ გაეცნოთ აქაურ ახალგაზდა ქალებს... ერთადერთი საქმე მათი ესაა: საღამოობით მთელი მათი ჯგუფი გამოდიან სადგურის ბაქანზე სასეირნოთ, დროის გასატარებლათ, სალაღობოთ. ვერცერთს ვერ ნახავთ—თუ ორი კაკალი ანბანი კი უსწავლია ქართულათ ხმა გაგცეს. არის სულ ჩიქორთული რუსულის პარტყალი. მე არა ვარ აქაური მცხოვრები და პირველ ჩამოსვლისათანავე მეგობარმა გამაფრთხილა:—„თუ რუსული არ იცი, ისე ვერვის გაეცნობიო". ეს ჯერ ვერ დავიჯერე, მაგრამ საზღვარი არ ქონდა ჩემს მწუხარებას, როდესაც მეგობრის სიტყვა გამიმართლდა და რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ და ან რომელ ერთს უნდა ვუკიჟინოთ „სულის სიმახინჯე"!

სკოკი.

## სია.

იმ პირთა, ვინც 1913 წლის საწევრო გადასახადი 3 მანეთი შემოიტანეს ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებაში.

1 ავალიანი დავით ნიკოლოზის ძე,
2 აბესაძე ანტონ ვასილ ძე,
3 ბახტაძე თეოფილე დავითის ძე,
4 კლდიაშვილი ვასილ გრიგოლის ძე,
5 ლორთქიფანიძე დავ. ნიკოლოზის ძე (აქიმი).
6 გიგინეიშვილი მოსე ივანეს ძე,
7 ზარკუა ასლან დავითის ძე,
8 თუთბერიძე გიორგი სიმონის ძე,
9 ნაზაროვი დავით ალექსანდრეს ძე,
10 იოსელიანი აკაკი იოსეს ძე,
11 ცქიტიშვილი ივანე სიმონის ძე.

ამას გარდა შემოტანილი ქონდათ და გამოცხადებულიც იყო „ერის" მესამე №-ში 102 კაცსის. სულ აქვს შემოტანილი დღემდი 113 კაცს. გამეორებით ვსთხოვ იმ პირთ, ვინც ინება წიგნაკებით საწევრო გადასახადის შეკრება,—დააჩქარონ წიგნაკებისა და ანგარიშის წარმოდგენა იანვრის 25-მდი.

მოლარე ქ. შ. წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებისა ბართლომე მოსეშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები
„დელი-ბაბ"
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამორჩეული წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლ

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი
„განათლება"
მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისთვის.
(წელიწადი მეშვიდე).

1914 წელში ჟურნალი „განათლება" ჩვეულებრივათ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველნაირი ცნობა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის ოთხი მანეთი (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ სამ მანეთად, საზღვარგარეთ 6 მან. 1914 წ. ხელისმომწერლები მიიღებენ საჩუქრათ: ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსოსა და კომენსკის სურათებს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში", ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნუმრებიც, თითო 2 აბაზათ.

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიგზავნონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ
წელიწადი მეათე. „ნაკადულზე" წელიწადი მეათე
(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდი).
თფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზდილთათვის 12 წიგნი.
36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.
საჩუქრათ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:
„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",
(მრავალი სურათით), გიორგი ანთელავასი.
ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურათ—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარგარეთ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ.; მოზდილთათვის—3 მ., ხელის მოწერა მიიღება წლიურათ და ნახევარი წლით. ხელის-მოწერა შეიძლება:
თფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან. მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, სამტრედიაში—ვლ. ნაცვალიძესთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, გორში—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში—ბ. ამბოქაძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—აკ. საათაშვილთან; ალექსანდროპოლში—ს. შატბერაშვილთან, როსტოვში—მ. კლიმიაშვილთან, ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან.
ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდისთ, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.
1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო გაზეთი"
(წელიწადი მეხუთე)
1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე" ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი" ისტ. რომ. ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი"—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული." ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.
გაზეთის ფასი
თფილისში და მის გარეთ.

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
| 8მ. 10შ. | 8 მ.—„ | 7მ. 10შ. | 6მ. 15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ. 10შ. | 3მ. 15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ. 10შ. | — 15შ. |

საზღვარ გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15მ.—„ | 13მ. 15შ. | 12მ. 10შ. | 11მ. 5შ. | 10მ.—„ | 8მ. 15შ. | 7მ. 10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ. 15შ. | 2მ. 10შ. | 1მ. 5შ. |

ცალკე ნომერი ყველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო სალიტერატურო კრებული
„ცხოვრება და მეცნიერება,"
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველოს"-ს სასარგებლოთ.
შინაარსი.
პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით ვალდებულ გლეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა აქიმი ს. უიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა აქიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე აქიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი შ. ქავთარაძე: ანაბიოზი. სტ. ქ. რაზმაძეშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. ლ. ჟღენტი. ბავშის აღზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ოცხელისა და ამხ.
ქუთაისში.
იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.
პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ დიდი სადავათი.

სპეციალური საკანცელარიო მაღაზია
დ. ოცხელისა
ქუთაისში.
იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებულია არითმეტიკული „ჩოთქები" და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.
ფასები მეტად ზომიერია.

## რკინის გზა.

**ქუთაისიდან მიდის**

**თფილისს:** სახალხო დილის 10 საათ. 6 წ.
ფოშტის დილის 11 საათ. 55 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ.

**ბათომს:** სახალხო დილის 5 საათ. 10 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ.
ფოშტის საღამოს 5 საათ. 21 წ.

**ფოთს:** საავარაკო დღის 4 საათ. 22 წ.
სახალხო ღამით 5 საათ. 10 წ.
ფოშტის დღით 5 საათ. 21 წ.

**შორაპანს:** საავარაკო დღით 4 საათ. 57 წ.

**ტყიბულს:** სახალხო დილის 7 საათ. 50 წ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახალ. დილ. 7 საათ. —
ფოშტის საღამ. 6 საათ. 55 წ.
სახალხო ღამ. 1 საათ. 28 წ.

**ბათომიდან:** საფ.-სახ. დილ. 11 საათ. 14 წ.
სახალხო ღამ. 1 საათ. 27 წ.

**ფოთიდან:** საავარ. დილ. 10 საათ. 3 წ.
სახალხო დღით 1 საათ. 20 წ.
სახალ. ღამით 1 საათ. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავარ. დილის 9 საათ. 31 წ.

**ტყიბულიდან:** საღამოს — 5 საათ. 11 წ.

**ბილეთის ფასი:**

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი | 1 | 76 | 1 | 17 |

| | II კლ. მან. | II კლ. კაპ. | III კლ. მან. | III კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ბაქომდი | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.